ხელშეკრულება N16/გ-16

ქ. მცხეთა

13 ოქტომბერი 2014 წ

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ, ფ.პ ავთანდილ მელაძე შემდგომში „მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 2014 წლის 14 ოქტომბერს „მცხეთობის" დღესასწაულთან დაკავშირებით 300 კგ. ყურძნის შესყიდვა. (CPV92300000) (წარმომადგენლობითი ხარჯი);

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების ვადაა 2014 წლის 14 ოქტომბერი;
2.2 მომსახურების საერთო ღირებულებაა 390 (სამასოთხმოცდაათი) ლარი.

3. მხარეთა უფლება – მოვალეობები

31 „მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:
3.1.1 მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.
3.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
3.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული მომსახურების მიხედვით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

4.1 თუ „მიმწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
42 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
4.3 საქონლის არაჯეროვანად მიწოდების ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მიმწოდებელს" არ აუნაზღაუროს მისაწოდებელი საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მთლიანი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

6. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

6.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ფორს – მაჟორი

7.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებაზე, თუ ეს შეუსრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 წარმოშობილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ურთიერთო მოლაპარაკების საფუძველზე.
8.2 თუ "მიმწოდებელი" და "შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. სხვა პირობები

9.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
9.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
9..3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

10.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი მითა აბაშვილი.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2014 წლის 28 ნოემბრის ჩათვლით.

12 . ანგარიშსწორება

12.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
მესტიის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. მესტია, ანტორეზის ქ.N7
ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი"-ს
მესტიის ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა NGE11LB0120118541380000

ს/კ 236098824

მუნიციპალიტეტის გამგებელი
ზ. აბესაძე

მიმწოდებელი
ფ. პ ავთანდილ მელაძე
მის: სოფ. გალავანი
ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი"-ს
მესტიის ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE57LB0711128950873000

ს.კ: 31001010369

ფიზიკური პირი
ა. მელაძე